ოქმი:**ო31. 3124172001**
თარიღი:**20/06/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი

18. 06. 2024 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ჯანაშია, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიები ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი მაია აფხაზავა/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 25 ივნისი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ.** მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა შეიძინა 5 ერთეული სამგზავრო ავტობუსი, რომლებიც იმოძრავებს კონკრეტულ მარშრუტებზე. დადგენილების პრეამბულაში მითითებული ნორმატიული აქტების შესაბამისად, აუცილებელია საკრებულომ განსაზღვროს სამგზავრო ტარიფები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფები განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. ლანჩხუთი-გრიგოლეთი-წყალწმინდა -2 ლარი;

2. ლანჩხუთი-ჯაპანა 1 ლარი;

3. ლანჩხუთი-ეწერი 1 ლარი;

4. ლანჩხუთი-აცანა-მამათი 2 ლარი;

5. ლანჩხუთი-ჩოჩხათი-გულიანი 2 ლარი.

მგზავრობისას შეღავათებით ისარგებლებენ 17 წლამდე ასაკის სკოლის

მოსწავლეები, რომელთაც დაუმზადდებათ და გადაეცემათ პლასტიკური ბარათები. აღნიშნული პროექტის ორგანიზებას და ზედამხედველობას გააკეთებს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი. კერძოდ, ეს ეხება ტრანსპორტის მოძრაობას, შემოსული თანხების განაწილებას, რის შესახებაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ვალდებულია წელიწადში ერთხელ წარადგინოს ანგარიში.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჯაპანის მოსახლეობის მხრიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკთან დაკავშირებით ითხოვეს, რომ უპრიანი იქნება, თუ პირველი მარშრუტი ლანჩხუთიდან ისეთ დროს გამოვა, რომ მოსამსახურე პერსონალი სამსახურში დროულად მივიდეს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ის მთავრობის ადმინისტრაციიდან ელოდება პასუხს, მინიმუმ ერთი სამგზავრო ავტობუსის დამატებასთან დაკავშირებით, რომელიც ივლის აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის მიმართულებით. ასევე, საუბარი ჰქონდა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან იმის თაობაზე, რომ ისინი ივლისის დასაწყისში აპირებენ ძველი ავტობუსების ჩანაცვლებას ახლით და კარგი მდგომარეობის მქონე ორ ერთეულ ავტობუსს გადმოსცემენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, ხოლო რაც შეეხება მოსამსახურე პერსონალის სამსახურში დროულ გამოცხადებას, ამ ეტაპზე მათზე ვრცელდება ნახევარ საათიანი საშეღავათო პერიოდი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,ლანაჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციუ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებადგანსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითთა კომისია.

2.დადგენილების პროექტიგანსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ფრაქციებს- ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ , ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 20247 წლის 25 ივნისის მორიგი სხდომის დღის ჭესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მაისის თვეში საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 3 667 824 ლარი, რაც წლიური გეგმის 42,2%-ს შეადგენს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1 880 989 ლარი; შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით მიღებულია 1 786 835 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 40,03%, მათ შორის დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 989 218 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 783 211 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 51,4%, აქედან ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 314 457 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 42,2%.

2024 წლის მაისის თვეში გაწეული იქნა 4 576 229 ლარის ხარჯი. მათ შორის - შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 617 097 ლარი, რაც თვეში გაწეული ხარჯების 13,5%-ს შეადგენს, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 823340 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 273392-ლარი და ტრანსპორტის მომსახურების ხარჯზე მიმართულია 274153 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 2 595 531 ლარი, საიდანაც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიმართულია 1 700 000 ლარის ფარგლებში. სუბსიდიის მუხლით გაიხარჯა 94077 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე მიმართულია 85856 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულები სრულად არის დაფინანსებული.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიში.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ წყალწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში შვიდი ოჯახი დარჩენილია წყალმომარაგების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის მოგვარების მიზნით, წერილობით არაერთხელ მიმართეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, პრობლემა კვლავ მოუგვარებელია და ისინი ითხოვენ დახმარებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას წყალწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯერ არ დაუსრულებია სამუშაოები და ეს შვიდი ოჯახიც აუცილებლად იქნება უზრუნველყოფილი სასმელი წყლით.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი